ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7122361

ნომერი: AR11043718

თარიღი : 27.06.2024

გაცემის თარიღი : 09.07.2024

გაცნობის თარიღი : 09.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გორგასანიძე პ/ნ 01024072863
- თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 3 კორ. 6 ბ. 6

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 6854742
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.01.2024

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამარ გორგასანიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს სტუდია ა-დ

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405062774

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ევრალიტ დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400149335
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვახტანგ მაყიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 57001019519

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1968.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 8339.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7215.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4095.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 732.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1138.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1248.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 23155.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 19477.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3678.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 42.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 38.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 595.6/1968=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5901.6/1968=3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 638.7/1968=0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ):

1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

· გენ.გეგმაზე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზა და მისი ზომები დაიტანოთ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად.

· გენ.გეგმაზე დაიტანეთ სერვიტუტის კონფიგურაცია სრულად. გაითვალისწინეთ რომ სერვიტუტის არეალში შენობის ნაწილების განტვსება დაუშვებელია, შესაბამისად დააკორექტირეთ აღნიშნული.

· გენ.გეგმა უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს, ღერძების ხაზებს, გაბარიტულ და ღერძულა ზომებს, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების გრუნტთან მიბმის მონაცემებს/ნიშნულებს, გადახურვის ნიშნულებს, ატმოსფერული ნალექების გადასვლის მაჩვენებლებს, გამწვანებას და სხვა კეთილმოწყობის ასპექტებს (ტროტუარი, გზა და ა.შ).

· დაიტანოთ მისაწვდომი სვლაგეზი საზოგადოებრივ სივრცემდე.

· გენ.გეგმასთან ერთად წარმოადგინეთ დასკანერებული ტოპოგრაფიული გეგმა.

2.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) გადამოწმდება დოკუმენტაციის განახლების

შემდეგ.
ზონით კ2 დადგენილია 2,5, წარმოადგინეთ კ2-3.0 სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
- დაიტანოთ პანდუსის პარამეტრები სრულად.
- გეგმებზე ექსპლიკაციები დაიტანოთ სრულად.
- თითოეული სართულის გეგმაზე დაიტანოთ საპროექტო ნიშნულები და პარამეტრები სრულყოფილად.
- დაიტანეთ მაქსიმალური სავალი მანძილები.
- გეგმებზე ჩაიხაზოს ავეჯი დეტალურად,
- დაიტანეთ მაქსიმალური დიაგონალები და გასასვლელებს შორის მანძილები 1015 ქვეთავის შესაბამისად.
- სრულყოფილად დაიტანეთ ცეცხლმედეგობები.
- საექსპერტო შეფასებაში დეტალურად განიმარტოს ჩიხებთან დაკავშირებით.
- აღნიშნულ ველში ატვირთული დოკუმენტაციიდან ამოიღოთ ფასადების ნაწილი.
- სრულყოფილად დაიტანეთ ცეცხლმედეგობები.
- დაიტანტ სამანქანო გზის და მისაწვდომი სვლაგზეის პარამეტრები.
- დაიტანოთ მისაწვდომი სვლაგეზი საზოგადოებრივ სივრცემდე.
- +32.80 ნიშნულზე ტერასებს მიანიჭეთ შესაბამისი დაკავებულობები.
- დაცული იქნას სამეზობლო მიჯნები.

4.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
- წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).

5.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.:
მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით:
ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშვებული გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილ(ებ)ი; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის განსაზღვრით/ჩვენებით (ფორმულა H=L/Y);

6.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
წარმოადგინეთ რეალურ გარემოზე მორგებული ფოტომონტაჟი და საპროექტო შენობის ყველა ფასადის ვიზუალიზაცია ზომების , მოსაპირკეთებელი მასალების და მათი ფერების მითითებით.

7.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
- წარმოადგინეთ პროექტის შესაბამისი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების საანგარიშო კროკები.

წარმოადგინოთ სრულყოფილი ვექტორული ფაილი.
- მიწისზედა ავტოსადგომი, რომლის სართულის სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან მომდევნო სართულის იატაკის ზედაპირამდე აღემატება 3 მეტრს სრულად შედის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში, შსაბამისად დააკორექტირეთ აღნიშნული რადგან თქვენს მიერ წარმოდგენილი რპოექტში აღნიშNული მიწისზედა ავოტსადგომის სიმაღლე (იატაკის ზედაპირიდან მომდევნო სართულის იატაკის ზედაპირამდე) აღემატება 3 მეტრს.

8. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::
გადამოწმდება აშნული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

9."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
გადახდილ იქნას მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, საპროექტო კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის შესაბამისად 1 კვ.მ-ზე 8 ლარის ოდენობით.

10.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ, საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად დამუშავებული, მშენებლობის ორგანიზების სრულყოფილი პროექტი.

11.საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:

წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე, ბანერის ფოტოები უნდა იყოს დათარიღებული დღეის მდგომარეობით, საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.

12.თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - N 01.02.271. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა საპროექტო ობიექტის, ხაზობრივი ნაგებობისა და დაშორების ზომების/მანძილების დატანით.

13. .წარმოსადგენია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;

ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;

გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.

გაფრთხილება: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილ იქნეს შესაბამის საექსპერტო შეფასებასთან ერთად. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება)

14 .წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა

განგიმარტავთ: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს.

ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.

კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:

ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);

ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;

გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

წარმოადგინეთ კონსტრუქციული სქემა/პროექტის საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება)

15.წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელ-გაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა - ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

16.“შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №354 დადგენილების შესაბამისად, წარმოსადგენია https://geecb.ge/index.php/ka/ - საიტის მეშვეობით, მომზადებული ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნების დეკლარაცია.

ენერგოეფექტურობის მოთხოვნების დეკლარაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმოწერით და დასკანერებული სახით. წარმოსადგენია კედლების ფრაგმენტის ჭრილი, ენერგოეფექტურობის დეკლარაციის შესაბამისად, დეტალური შრეების ჩვენებით და ექსპლიკაციის მითითებით.

17. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი:

საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);

- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

აღნიშნულის წარმოდგენის შემდეგ საკითხი განსახილველად გადაიგზავნება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში
18. სსოპ - ქონების მართვის სააგენტოსთან დადებული ხელშკრულების 3,5 პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ვადამ არ უნდა გადააჭარბოს ნებართვის გაცემიდან 2 წელსა და 6 თვეს. ასევე, პროექტით გათვალისწინებული იქნას / მიეთითოს ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირებისთვის გადასაცემი ფართები, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება შესაბამისი თანხმობების წარმოდგენა.
19. წარმოსადგენია 1. კონსტრუქციული პროექტი, რაც უნდა მოიცავდეს: თავფურცელს, განმარტებით ბარათს ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის სიმაღლის ნიშნულების ჩვენებით); ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს; კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების მარკირებასა და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას. 2. კონსტრუქციული სივრცითი მოდელის ანგარიში (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილებები და რხევის პერიოდი) ექსპორტირებული საანგარიშო კომპლექსიდან და დასტურდებოდეს შემსრულებლის მიერ, რომ მზიდი ელემენტები გაანგარიშების მიხედვით აკმაყოფილებენ სიმტკიცისა და მზიდუნარიანობის მოთხოვნებს. 3. წარმოსადგენია მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა (საკადასტრო ნუმერაციის მითითებით) და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაცია და მანძილი, (მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, დადგენილ უნდა იქნას მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხი (ფუძე-საძირკვლებზე მოსული დატვირთვების სქემა კვეთს თუ არა მომიჯნავე შენობის საძირკველს) საპროექტო ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ კვლევით განისაზღვრება დამატებითი ღონისძიებები (ქვაბულის გამაგრების, შპუნტური კედლების, ხიმინჯების მოწყობა ან სხვა) წარმოდგენილ იქნას აღნიშნული ღონისძიებების კონსტრუქციული სქემატური ნახაზები. ღონისძიებები აისახოს კალენდარულ გრაფიკში. თუ გათვალისწინებული იქნება მომიჯნავე შენობების გამაგრება საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე. იმ შემთხვევაში თუ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არ არის განთავსებული შენობა შესაბამისად მითითებულ უნდა იქნას საექსპერტო დასკვნაში. 4. კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება.
20. წარმოდგენილი არ არის გეოლოგიური დოკუმენტაცია, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და მის შესახებ ინჟინერ გეოლოგის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე გეოლოგის მიერ მომზადებული საექსპერტო შეფასება, რასაც თან უნდა ახლდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების ექსპერტის აღნიშნულ დარგში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი რეზიუმეთი (10 წლიანი გამოცდილებით).
21. წარმოადგინეთ საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.